„თამარიონი“

ცვლილებები ცხბანკელი ლაზრბზი ცვლილებები განწყობილების შექმნელია!

ევროსტანდარტების დონეზე მომზადებული 300 და 600-კაციანი საბანკეტო დარბაზები, უმაღლესი კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალი, უგემრიელესი ეროვნული და უხოური კერძების ფართო ასორტიმენტი, სამარკო ღვინოები, მატონიზებელი სასმელები.

აქ შეგიძლიათ ქორწილის, სხვა რიტუალის გადახდა, დაბადების დღის აღნიშვნა. ყოველდღიურად 6-დან 10 საათამდე ფუნქციონირებს რესტორანი მუსიკალური ბენდით. აქვე თქვენს სამსახურშია საბავშვო კენტი „ზღაპარი“, საბანკეტო დარბაზს აქვს ავტომანქანების საფეხმი, ვიდეოკონტროლით.

ოზურგეთი: გურამიშვილის ქ. №25

მოგრიბანდით, გელოდებით!

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №1 (10092), 12 იანვარი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ოზურგეთში შობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში „ალილოს“ მსვლელობა გაიმართა

ალიონი. ღვთისმშობლის მიძინების ოზურგეთის საკათედრო ტაძარში საშობაო წირვა-ლოცვა აღავლინა შემოქმედელმა მიტროპოლიტმა, მეუფე იოსებმა.

საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინა ეპარქიის ყველა ეკლესია-მონასტერში.

8 იანვარს, მიუხედავად წვიმისა, ქ. ოზურგეთში უკვე ტრადიციად ქცეული „ალილოს“ მსვლელობა მოეწყო. იგი ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინ დაიწყო და ქალაქის ცენტრალური ქუჩები გაიარა. სიახლეც იყო,- მსვლელობაში ქორეოგრაფიული ანსამბლებიც მონაწილეობდნენ (კობა დუნდუა, მელის ნადირიძე) და საკონცერტო ნომრები წარმოადგინეს. პირველი საჩუქარი ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა გააკეთა, შემდეგ შსს გურიის სამხარეო და რაიონულმა პოლიციამ.

განსაკუთრებულად მომზადებული დახვდნენ „ალილოს“ მონაწილეებს ქ. ოზურგეთის მერიის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები. სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან მოისწრაფეშვილმა ქ. ოზურგეთის მერმა ბეგლარ სიორიძემ, მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ სხვადასხვაგვარი საჩუქარი მიიტანეს.

საჩუქრები გადასცეს „ალილოს“ მონაწილეებს კომერციულმა ობიექტებმა, მოსახლეობამ.

„ალილოზე“ შეგროვილი ნობათი ქველმოქმედებას მოხმარდება.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე «ალიონით»

საკრებულოს წლევანდელი პირველივე სხდომა ზომაზე მეტად ხმაურიანი გამოდგა

ნუგზარ ასათიანი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის პირველი სხდომის მთავარი თემა აუდიტის დასკვნის შეფასება იყო. აუდიტის შემოწმების პერიოდი 2012-2013 წლებს მოიცავდა. აუდიტის დასკვნით, იკვეთება ბიუჯეტიდან არამიზნობრივად გახარჯული თანხები, რესურსების არარაციონალური და არაეკონომიური გამოყენება, ნაკლოვანებები შესყიდვებში, შპს-ების და ა(ა)იპ-ების არასწორად განხორციელებული მენეჯმენტი, შენიშვნები საკადრო პოლიტიკაში და ა.შ. აუდიტის დასკვის შეფასება საკმაოდ ხმაურიანი იყო მას შესაბამისი შეფასებაც მისცეს.

რა რეზერვს ხედავს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ამ დასკვის საფუძველზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესავსებად, მოკლედ წარმოგიდგენთ:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილის მფლობელი „ოზურგეთის სავაჭრო ცენტრი“ ადმინისტრაციული ხარჯების სიდიდის (83 %) და მართვის არაეფექტურობის გამო, საანგარიშო პერიოდს ზარალით ამთავრებს. კომისია ფიქრობს, თუ ბაზრის ტერიტორია ივჯარით გაიცემოდა, ბიუჯეტი წლიურად 28, 6 ათას ლარს მიიღებდა, ხოლო მასზე არსებული ნაგებობების მართვის უფლებით გაცემა – გაცილებით მეტს.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ივჯარით გაცემული 18 ფართობიდან მხოლოდ ერთია გაცემული აუქციონის ფორმით. 2012-2013 წლებში გადაუხდელმა საიჯარო თანხამ 49 ათასი ლარი შეადგინა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ოქტან-მედეას“ შორის გამარტივებული შესყიდვის ფორმით გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 220,0 ათასი ლარი. შპს „ოქტავ-მედეას“ობიექტის საბოლოო ჩაბარებისას, შემკვეთისთვის უნდა წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა, რაც არ განხორციელებულა. ხელშეკრულებით, ჩაბარებიდან სამი წლის განმავლობაში დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი აღმოფხვრის ვალდებულება ეკისრება მომწოდებელს, თუმცა, სპორტული დარბაზი კვლავ სარემონტოა. მუნიციპალიტეტს საგარანტიო მოთხოვნებლობის შესაძლებლობა არ გამოუყენებია.

2012-2013 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოიყო 5 805,6 ათასი ლარი. 2013 წელს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხებით შესრულებულია ისეთი ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენილ სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხაში. ასეთი სამუშაოებისთვის დახარჯულია 645,8 ათასი ლარი.

2012 წელს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელდა 71,8 ათასი ლარის სხვადასხვა შესყიდვა.

20 შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ ხარჯები ანაზღაურებულია ფაქტობრივად გაწეული დანახარჯების დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე;

შპს „ე.ე.ე“-ისათვის დაუსაბუთებლად გადახდილი აქვს 71,9 ათასი ლარი;

შპს „გზამშენი 18“-თვის სავარაუდოდ ზედმეტად გადახდილია 4,6 ათასი ლარი;

შპს „ოქტან-მედეასათვის“სავარაუდოდ ზედმეტად გადახდილია 7,6 ათასი ლარი...

შპს „ნიუ ვეივი“-სათვის (შპს „მარჯინის“ ქვეკონტრაქტორი) ანაზღაურებულია გეგმიური დაგროვების და ზედნადები ხარჯები. სავარაუდოდ შპს „მარჯინთან“ ზედმეტად ანაზღაურებულია 41, 0 ათასი ლარი.

შპს „ე.ე.ე“-ს გადაუწიეს სამუშაოების დასრულების ვადა, რათა არ დაერიცხა პირგასამტეხლოს თანხა. ბიუჯეტი მიიღებდა 550,0 ათას ლარზე მეტ სარგებელს.

საკვლევ პერიოდში მუნიციპალიტეტის მფლობელობაში იმყოფებოდა 5 შპს და 26 ა(ა)იპ, რომლებიც ბიუჯეტიდან სუფსიდიებით ფინანსდებოდა. ამ თანხის 73% დახარჯულია შრომის ანაზღაურებაზე.

2012 -2013 წლებში სოციალურად დაუცველ ბავშვთა „დღის ცენტრის“ თანადაფინანსების პროგრამით დახარჯულია 72,0 ათასი ლარი. პროგრამა ითვალისწინებდა უკიდურესად შეჭირვებულ ბავშთა ორმაგი კვებით უზრუნველყოფას. აუდიტორული დასკვნის საფუძველზე ირკვევა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებულია „დღის ცენტრის“ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება და სხვა ხარჯები.

წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ასკვნის, რომ 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმი ვერ ახდენდა არსებითი უზუსტებობის გამოვლენას. სახეზეა შიდა კონტროლის არაეფექტურობა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს დაევალა კონტროლის სისტემის ამაღლება, ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის კონტროლი და პრევენცია.

დებატები აუდიტის დასკვნის გარშემო

დიმიტრი კვერღელიძე:: „საკრებულო არის პოლიტიკური ორგანო, ამიტომ გვევალება პოლიტიკური შეფასება მივცეთ აღნიშნულ დასკვნას, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის შენიშვნა, რომელიც ამ დასკვნაში აისახა და უნდა გავატაროთ ძირეული რეფორმები, რადგან მომავალშიც არ დავდგეთ ანალოგიური რეალობის წინაშე. ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს დაევალოს კონტროლის სისტემის ეფექტურობის ამაღლება , ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის კონტროლი და პრევენცია“.

დიმიტრი კვერღელიძემ სხვა შენიშვნებთან ერთად კრიტიკა არ დაიშურა მუნიციპალიტეტის მიერ „გრეიდერის“ შეძენის გამო, რომელიც შემდეგ შპს „ტექნოსერვს“ გადაეცა. მუნიციპალიტეტს „ტექნოსერვი“ საბაზრო ფასებით ემსახურება.

ხვიჩა წულაძე, დეპუტატი: – რატომ არ უნდა ეყიდათ გრეიდერი? აბა, ახალი მანქანები უნდა ეყიდათ? ალბათ არ გაგივლიათ სოფლებში. მეორე გრეიდერიც არის საჭირო.

გოჩა კილაძე, დეპუტატი: – არ უნდა ეყიდათ,

დიმიტრი კვერღელიძე: – 28 სოფელს ესაჭიროება დახმარება. ისინი მოწყალების თვალით არ უნდა უყურებდნენ....საბაზრო ფასებს არ უნდა ახდევინებდნენ...

ია დოლიძე, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე: – აუდიტის დასკვნაში კრიმინალური ელემენტებია და პროკურატურას უნდა გადაეცეს...

ხვიჩა წულაძე: – ეს პიროვნული დაპირისპირებაა.

დიმიტრი კვერღელიძე: – 100-გვერდიან დასკვნაში ერთი კარგი არ წერია. მთლიანად მოშლილია აუდიტის სამსახური. დასკვნა არის ღია...

თემურ ბურჭულაძე, დეპუტატი: - მუშა ჯგუფი უნდა შეიქმნას. დასკვნა გადავუგზავნოთ პროკურატურას.

ლელა ნაცვალაძე, დეპუტატი: – შეცდომებს და დანაშაულს ვერ ვარჩევთ. ადამიანები სანამ სავარძელზე სხედან-ღმერთია, როცა წავა-ურტყამენ...

ნუგზარ გიორგაძე: – მე სამოქალაქო სექტორის აზრს ვაფიქსირებ. ეს დასკვნა არაფერია. ძირითადი თანხები 2014 წელს დაიხარჯა. ამ დანაშაულში ვინც მონაწილეობდა, ვინც მოკალათებულია ამ შენობაში, უნდა გადაბარგდეს. მე ვიცე-პრემიერ კალაძეს ვთხოვე, გაეკონტროლებია გამგებელი. ახლა „ლაითი“ საუბარი არ გამოდგება. ამ დღეებში პრემიერ-მინისტრი ჩამოვა და მე ამას მას ვეტყვი...

უნდა აღინიშნოს, რომ სხდომათა დარბაზში მყოფ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს თავიანთი პოზიცია არ დაუფიქსირებიათ.

შპს „ტექნოსერვი“ ბრალდებებს უარყოფს

ალიონი. რატომ ახდევინებს შპს „ტექნოსერვი“ მუნიციპალიტეტის სახსრებით შეძენილი გრეიდერით მომსახურებაში მუნიციპალიტეტს საბაზრო ტარიფებს, აღნიშნულზე შპს-ს დირექტორმა დავით რუსიეშვილმა გვიპასუხა:-ჩვენ სათანადო ტექნიკური ბაზა და კადრები გვყავს, რომ ტექნიკას ექსპლუატაცია გავუწიოთ. მუნიციპალიტეტის მიერ 142 ათას ლარად შეძენილი გრეიდერიც ჩვენს განკარგულებაშია. მუნიციპალიტეტის სოფლებში ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი და ჩვენს პირნათლად ვასრულებთ მუნიციპალიტეტის დაკვეთებს. მომსახურების ხარჯები საშუალოდ 20 პროცენტით ნაკლებია საბაზროსთან შედარებით. ახლაც ზედა ვაკიჯვარში გავგზავნეთ გრეიდერი თოვლისგან გზის გასაწმენდად–გვითხრა რუსიეშვილმა.

ქ. ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატის თემურ სალუქვაძის განცხადება

მე, როგორც საკრებულოს ოპოზიციური წარმომადგენელი, თავისუფალი დემოკრატი, მხარს არ ვუჭერ აღნიშნულ ბიუჯეტს (თავად სხდომასაც არ დავესწარი, რადგან ჩავთვალე,რომ არ მიმეღო მონაწილეობა, ერთი მხრივ, არცთუ ისე კვალიფიციურ მსჯელობებსა და მეორე მხრივ, გადაჭარბებული ძალაუფლების დემონსტრირებაში...), შესაბამისად, ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას, მოსახლეობის წინაშე, სახელისუფლებო გუნდის მიერ მიღებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

უახლოეს მომავალში საკრებულოს მივმართავ წინადადებით, შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი ფართო საზოგადოების თანამონაწილეობით (საკრებულოს დეპუტატები, არასამთავრობო სექტორი, დარგის სპეციალისტები), რომელიც კვალიფიციურად და ობიექტურად გააკონტროლებს, აღებული ვალდებულებების შესრულების პროცესს და პერიოდულად ოზურგეთის მოსახლეობას მიაწვდის მიუკერძოებულ ინფორმაციას.

რაც შეეხება, სახელფასო განაკვეთის ზრდას, სამწუხაროდ, ეს ქმედება განხორციელდა მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს არის ხელისუფლების არაერთადერთი არაგონივრული გადაწყვეტილება, რომელიც მოსახლეობაში იწვევს მორიგ იმედგაცრუებას და ისედაც დაცემულ ავტორიტეტს, კიდევ უფრო მეტად აღრმავებს.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში ბოლო ცვლილება 2015 წელს შეიტანეს

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში ბოლო ცვლილება 2015 წლის 6 იანვარს გამართულ საკრებულოს სხდომაზე შეიტანეს.

როგორც ქალაქ ოზურგეთის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა მარიკა ნაცვალაძემ თავის მოხსენებაში განაცხადა, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტი 2014 წლის 18 აგვისტოს №3 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა 8 206,8 ათასი ლარის ოდენობით. განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ბიუჯეტის მოცულობამ, 11 თვის მონაცემებით, შეადგინა 8 399,2 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2551 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1340,0 ათასი ლარი, მათ შორის პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად – 1 278,0 ათასი ლარი, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მიზნით – 62,0 ათასი ლარი.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საბიუჯეტო სახსრების ნაშთმა შეადგინა 1 985,8 ათასი ლარი. შესაბამისად 2015 წლის საბიუჯეტო ვალდებულება გადანაწილდა შემდეგნაირად;

- „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულების შესაბამისად – ნარჩენი თანხა 108,4 ათასი ლარი;

– საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2551 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისთვის – 1 340,0 ათასი ლარი;

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ნაშთი – 537,4 ათასი ლარი, საიდაც 281,0 ათასი ლარი მიმართულია ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის, ხოლო 220,0 ათასი ლარი მიიმართება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში – სატრანსპორტო საშუალებების შესაძენად.

ბაზრდილი თანამდებობრივი სარგოები და პროტესტის ნიშნად დატოვებული დარბაზი

ალიონი. ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 იანვრის სხდომამ დაამტკიცა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამშრომლელთა გაზრდილი თანამდებობრივი სარგოები.

ქალაქის მერისა და ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის ყოველთვიური სარგოები 1 იანვრიდან განისაზღვრა 2750-2750 ლარის ოდენობით;

ვიცე-მერის თანამდებობრივი სარგო შეადგენს 2150 ლარს, მერის მოადგილისა – 2050 ლარს, სამსახურის უფროსისა – 1500 ლარს.

მერიის მოხელეთა ახალი თანამდებობრივი სარგოები კი ასე გამოიყურება:

განყოფილების უფროსი – 900 ლარი; მერის თანაშემწე –850 ლარი, მთავარი სპეციალისტი – 750 ლარი, წამყვანი სპეციალისტი – 700, უფროსი სპეციალისტი –650 ლარი. სპეციალისტი – 600 ლარი.

ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ხელფასი განისაზღვრა 2150 ლარით, კომისიის თავმჯდომარისა - 100 ლარით, ფრაქციის თავმჯდომარისა –1500 ლარით;

აპარატის უფროსი ყოველთვიურად მიიღებს 1400 ლარს, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 850 ლარს, მთავარი სპეციალისტი – 750 ლარს, უფროსი სპეციალისტი – 650 ლარს.

ახალი თანამდებობრივი სარგოების დამტკიცებას მხარი არ დაუჭირა ქალაქის საკრებულოს ლეიბორისტმა დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ:

„პროტესტის ნიშნად ვტოვებ დარბაზს. აქ მხოლოდ ხელფასებს იმატებენ. გაჭირვებულ ხალხს კი არაფრად თვლიან, რა უნდა ველაპაარაკო ამათ?!“ – განაცხადა შარაშენიძემ და სხდომა დატოვა.

ყოფილი საავადმყოფოს შენობაში შეხიზნულ მოსახლეობას გახარჯული ელექტროენერგიის საფასურს ქალაქის მერია ამჯერად 1 მარტამდე გადაუხდის

ქალაქ ოზურგეთის ყოფილი ცენტრალური საავადმყოფოს შენობაში შეხიზნულ მოსახლეობას, ე. წ. „უსახლკაროებს“ გახარჯული ელექტროენერგიის საფასურს ქალაქის მერია ამჯერად 1 მარტამდე გადაუხდის.

ამის შესახებ ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ, შობის მეორე დღეს, მათთან მორიგი, უამიდობასთან დაკავშირებით, შეხვედრისას განაცხადა.

აქ შეხიზნულ მოსახლოებას, გასული წლის ბოლოს, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყვიტა მრიცხველის უქონლობის გამო. მაშინ, საქმეში მერის ჩარევის შემდეგ, აქ საერთო მრიცხველი დამონტაჟდა და გახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ვალდებულება, 15 იანვრის ჩათვლით, ქალაქის მერიამ იკისრა.

8 იანვრის შეხვედრაზე ბეგი სიორიძე მოსახლეობას შეპირდა, რომ ელექტროენერგიის საფასურს ქალაქის მერია ამჯერად 1 მარტის ჩათვლით გადაუხდის:

„შეპირებისამებრ, წინასაახალწლოდ შუქი თითოეულ თქვენგანს ჩაგირთეს. ვინაიდან რთულ პირობებში გიწევთ ცხოვრება, თქვენ მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურს ქალაქის მერია ამჯერად 1 მარტამდე გადაიხდის. ამ დროისთვის უკვე შევძლებთ გადავჭრათ თქვენი პრობლემები“,– უთხრა ქალაქის მერმა ყოფილი საავადმყოფოს „მობინადრეებს“.

დღეის მდგომარეობით, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში 15 ოჯახი ცხოვრობს. წინასაახალწლოდ მერიამ ეს ოჯახები შეშითაც უზრუნველყო.

მიხეილ გოგოტიშვილი: „აუდიტის შედეგების განხილვის დროსაც გამოჩნდა, რომ ოზურგეთში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება უნიათოა“

ალიონი. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე აუდიტის შედეგების განხილვისა და უარყოფითი დასკვნის გამოქვეყნების დროსაც გამოჩნდა, რომ როგორც მთელ ქვეყანაში, ისე ოზურგეთში „ქართული ოცნების“ ხელისუფლება უნიათოა. დეტალებს აღარ ჩავყვებით, ამ საკითხით ალბათ შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციები დაინტერესდებიან, მაგრამ ცხადია, რომ „ქართულ ოცნებას“ ოზურგეთში მმართველობის პირველივე წელი ჩაუვარდა“ – საკრებულოს სხდომის მეორე დღესვე, 9 იანვარს გამართულ ბრიფინგზე ასეთი პოლიტიკური შეფასება მისცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა მიხეილ გოგოტიშვილმა აუდიტის დასკვნას, რომელშიც გაანალიზებულია ოზურგეთის თვითმმართველობის მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის შედეგები.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთი ლიდერის, სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარი დეპუტატის დავით მჟავანაძის თქმით კი, სამწუხარო ისაა, რომ აუდიტის დასკვნაც საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა:

– „რაც ყველაზე სამწუხაროა, აუდიტის მასალებში არაერთი სისხლის სამართლებრივი ნიშნების მატარებელი საქმე იკვეთება, დასკვნაში კი ვკითხულობთ, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებშია. როგორ შეიძლება დანაშაული იყოს კანონის ფარგლებში?! ამიტომ აუდიტის დასკვნაც საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრაა და სხვა არაფერი“,– დასძინა მჟავანაძემ.

წლეულს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ელექტროგამრიცხველიანება მთლიანად დამთავრდება

ალიონი. წლეულს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ელექტროგამრიცხველიანება, ყოველ მიზეზს გარეშე, მთლიანად დამთავრდება. ამის შესახებ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრის მენეჯერმა გიორგი ნაკაიძემ „ალიონთან“ საუბარში 6 იანვარს განაცხადა.

„დარჩენილია მხოლოდ 6 სოფელი: მთისპირი, ნაგომარი, შრომა, ძიმითი, სილაური და ჯუმათი. გამრიცხველიანების სამუშაოებს, საკაბელო სისტემით ელექტროქსელის სრულ რეაბილიტაციას, – ციფრული მრიცხველების დამონტაჟებას, – 1 თებერვლიდან შეუდგებიან და იგი აუცილებლად სოფელ მთისპირიდან დაიწყება, სადაც ამ თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მდგომარეობაა“, – აღნიშნა ნაკაიძემ.

ანასეულის ინსტიტუტის გასხვისებასთან დაკავშირებულ პრობლემას დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიწავლის

ალიონი. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ე“ პუნქტის, 29 მუხლის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს №1 დადგენილებას თანდართული რეგლამენტის 34-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ანასეულში) არსებული ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის გასხვისებასთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლის მიზნით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი.

დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა 6 იანვრიდან 2015 წლის 6 აპრილამდე.

როგორც განკარგულებაშია ნათქვამი, დროებითმა სამუშაო ჯგუფმა თავისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, საკრებულოს უნდა წარუდგინოს გადაწყვეტილების პროექტი ან დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

განკარგულება ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავის 6 იანვრის სხდომაზე ხმათა უმრავლესობით მიიღო.

რა მოხდა „ცისკრის ვარსკვლავში?“

ალიონი. ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე, კერძოდ, 26 დეკემბერს ოზურგეთის ბავშვთა დღის ცენტრ „ცისკრის ვარსკვლავში“ კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. 12 წლის გიზო ლურსმანაშვილი მოაჯირიდან გადმოვარდა და, როგორც ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოში დადგინდა, მარცხენა ხელის მძიმე მოტეხილობა მიიღო.

ჭირისუფალს, კერძოდ, ბებიას, კოსტავას ქუჩის №123-ში მცხოვრებ, ქალბატონ **მზია ლურსმანაშვილს** ეჭვი არ ეპარება, რომ ბავშვი მოაჯირიდან გადმოვარდა და მასთან ერთად მოთამაშე ბავშვებს არ გადმოუგდიათ, როგორც ეს თავდაპირველად ითქვა, მაგრამ უკმაყოფილოა ბავშვთა ცენტრის ხელმძღვანელობისა და მასწავლებლებისა, რომლებმაც, მისი თქმით, ტრავმირებული ბავშვის მიმართ სრული უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს.

„უყურადღებობასა და უპასუხისმგებლობაზეც მეტია. აბა, სხვა რა უნდა დავარქვა ამას?! ბავშვმა ამოდენა ტრავმა მიიღო და თავი არავის შეუწუხებია. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთმა მასწავლებელმა საკუთარი თვალით დაინახა, როგორ გადმოეშვა ჩემი შვილიშვილი მოაჯირიდან, პირველადი დახმარება მას ბავშვებმა აღმოუჩინეს და ხელის დაქაჩვით ტრავმა კიდევ უფრო დაუმძიმეს. იმ დღეს ოზურგეთის საავადმყოფოში კი მიგვაყვანინეს და ამით მორჩა ყველაფერი. დაგვამშვიდეს, ისეთი არაფერი სჭირსო. მომხდართან დაკავშირებით, თავს იმართლებენ იმით, რომ ჩემი შვილიშვილი მეტისმეტად ცელქი და მოუსვენარია, თუმცა, მანამდე, – სამი წელია, რაც იქ დაგვყავს, – ერთხელაც არ გამოუთქვამთ მსგავსი საყვედური.

ადგილობრივი ექიმებისაც მიკვირს, ბათუმში წაყვანა კი გვირჩიეს, მაგრამ მოტეხილობა გამორიცხეს.

სხვათა შორის, ბავშვთა ცენტრის დირექტორი ქალბატონი **ხათუნა ცერცვაძე** შეგვპირდა, ბავშვს ბათუმში ჩემი მანქანით წაგაყვანიებდო, მაგრამ მეორე დღეს არც კი გამოჩენილა, ისე შეგვატყობინა, მანქანა სხვა საქმეზე წაუყვანიათ, თქვენით მოგიწევთ წასვლაო.

მეორე დღეს ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში მიყვანისთანავე, ექიმმა გიორგი ყაველაშვილმა გიზოს იდაყვის არეში მარცხენა ხელის მძიმე მოტეხილობა დაუდგინა და გვირჩია ბათუმის ბავშვთა საავადმყოფოში გადაგვეყვანა, სადაც ტრავმატოლოგმა პაატა ცინცაბაძემ სასწრაფო ოპერაცია გაუკეთა. ბათუმელი ექიმების თქმით, ეს ერთი ოპერაცია არ არის საკმარისი, ბავშვს კვლავ აუცილებლად დასჭირდება ქირურგიული ჩარევა და ხანგრძლივი მკურნალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ხელს ვერ აამოძრავებს, ვერ მოხრის, ვერ გაშლის.

10 დღის მანძილზე „ცისკრის ვარსკვლავიდან“ არავინ შეგვხმიანებია, მხოლოდ 29 დეკემბერს ერთადერთხელ დარეკა ირინა მასწავლებელმა და მოიკითხა გიზოს ამბავი. მე რომ მივედი დღის ცენტრში და ვიკითხე, ხათუნა ცერცვაძე სად ბრძანდება-მეთქი, არ ვიციო, მიპასუხა“.., –წერს 6 იანვარს რედაქციაში მოტანილ თავის განცხადებაში ქალბატონი მზია ლურსმანაშვილი.

პირად საუბარში მან ბავშვთა დღის ცენტრ „ცისკრის ვარსკვლავში“ არსებულ სხვა დარღვევებზეც ისაუბრა:

„ბავშვებს იმდენად ცუდად კვებავენ, რომ დღის ბოლომდე ფაქტობრივად მშივრები არიან. იმასაც მოვკარი ყური, საჩუქრები სრულყოფილად ვერ აღწევს ბავშვებამდე“, – გვითხრა გიზოს ბებიამ.

კითხვაზე – თუ ასეთი პირობებია, რატომ დაჰყავდათ ბავშვი დღის ცენტრში, ქალბატონმა მზიამ გვიპასუხა: „სოციალურად დაუცველები ვართ, სხვა გზა არ გვქონდა, ვფიქრობდით ასე სჯობია ბავშვის განვითარებისა და სწავლისათვის“.

ბავშვთა დღის ცენტრ „ცისკრის ვარსკვლავის“ დირექტორს, რომელიც ამავე დროს შემოქმედის ეპარქიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსაც ხელმძღვანელობს, შობა დღეს შევხვდით და ვთხოვეთ, გიზო ლუსმანაშვილის საკითხთან დაკავშირებით, მეორე დღეს რედაქციაში მოსულიყო. რადგან ვერ შეძლო (შორსა ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენთან შეხვედრას თავი აარიდა), ვეცდებით, მასთან მოკლე გასაუბრების შინაარსი ქაღალდზე გადმოვიტანოთ და შეძლებისდაგვარად ბალანსი არ დავარღვიოთ.

ქალბატონი ხათუნა ამბობს, რომ ცენრის პერსონალმა მაქსიმუმი გააკეთა ტრავმირებული გიზო ლურსმანაშვილის როგორც პირველადი, ისე შემდგომი დახმარებისათვის და ლურსმანაშვილების პრეტენზიებს უმადურებას უწოდებს:

„იცით რა? ჩემი აზრით, ეს უფრო უმადურებაა. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ ტრავმირებული ბავშვის პირველადი და შემდგომი დახმარებისთვის. თვითონაც ხედავდნენ, მივიყვანეთ საავადმყოფოში, არ მოვცილებივართ მანამდე, სანამ ექიმებმა ბათუმში წაყვანა არ ურჩიეს... არ შეესაბამება სიმართლეს, რომ ჩემი მანქანით ბავშვის ბათუმში გადაყვანას შევპირდი, არც ის, რომ არ შევხმიანებივართ. მართალია, მე თბილისში გახლდით სამსახურებრივ საქმეზე, მაგრამ ჩემი თანამშრომლები ყოველთვის კითხულობდნენ ბავშვის ამბავს“.

– ქალბატონო ხათუნა, სანამ ეს ამბავი მოხდებოდა, მანამდე რატომ ერთხელ მაინც არ გააფრთხილეთ გიზო ლურსმანაშვილის ჭირისუფალი, რომ ბავშვი მეტისმეტად ცელქია?

– ვინ გითხრათ, რომ არ ვუთხარი? და იცით რამდენჯერ? ყველა ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ გიზო ჩვენთან ხშირად ძალადობდა სხვა ბავშვებზე. ყველაფერი არ ითქმება, თორემ ისიც ვიცი, რა არის ამ ბავშვის ძალადობის მიზეზი... იმ დღეს, თვითმხილველი მასწავლებლების თქმით, ძალადობას ადგილი არც ერთი მხრიდან არ ჰქონია. გიზოს მოაჯირიდან გადმოვარდნა მხოლოდ მისი ანცობის შედეგია. მსგავსი შემთხვევიდან არც ერთი საბავშვო ორგანიზაცია არ არის დაზღვეული. ღმერთს მადლობა, რომ ეს ყველაფერი უარესი შედეგით არ დამთავრდა, დასძინა ქალბატონმა ხათუნამ.

რა მოხდა სინამდვილეში გასული წლის 26 დეკემბერს ბავშვთა დღის ცენტრ „ცისკრის ვარსკვლავში? - ამ საკითხით ალბათ სოციალური მომსახურების სააგენტო დაინტერესდება მით უფრო, რომ, როგორც ქალბატონმსა მზია ლურსმანაშვილმა „ალიონთან“ საუბარში აღნიშნა, წერილობით მიმართა პირადად სააგენტოს უფროსს ბატონ გაიოზ თალაკვაძეს.

კომისია ყოფილი საავადმყოფოს შენობაში თვითნებურად შესახლებული ბენეფიციართა საკითხის შესწავლას აგრძელებს

9 იანვარს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში თვითნებურად შესახლებულ ბენეფიციართა აღრიცხვისა და მათი სამართლებრივი სტატუსის შემსწავლელი კომისია შეიკრიბა.

მერის ინიციატივით, კომისიას მუშაობა ოპერატიულ რეჟიმში დაევალა: “აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ საავადმყოფოს შენობაში შესახლებული ადამიანების მძიმე სოციალური პირობები. უპირველესად, დროულად უნდა იქნას გადაჭრილი დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც შემდგომში გაამარტივებს პრობლემის გადაჭრის გზებს. - განაცხადა ბეგი სიორიძემ.

კომისიას ოზურგეთის მერის მოადგილე, კობა დუნდუა ხელმძღვანელობდა. დუნდუას თქმით, საცხოვრებელი ფართის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, განცხადებით, დღესდღეობით, ქალაქის მერიას 40-მდე ბენეფიციარმა მიმართა. “უპირველესად, ქალაქისა და სოფლის მკვიდრთა გამოკვლევა უნდა მოხდეს, ამისთვის თვითნებურად შესახლებულთა აღრიცხვა და მონაცემთა ბაზაში შეყვანაა საჭირო. შემდგომში ფართის განაწილებაც სულადობის მიხედვით მოხდება“. - აღნიშნა დუნდუამ.

კომისია შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა:

კობა დუნდუა - მერის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

სოფო ჭანტურია - მერის მრჩეველი საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის საკითხებში;

თამარ დუმბაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი;

გიორგი ხუროშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;

გელა სარიშვილი - მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი;

სალომე კურდღელაშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ვანმრთელობის დაცვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

მერაბ წივწივაძე - მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;

მინდია სალუქვაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია “ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი“-ს თავმჯდომარე;

ლევან ხინთიბიძე - არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ აღმასრულებელი დირექტორი;

ვანო გოგოლაშვილი - სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსის მოადგილე;

ივანე მენაბდე - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი;

ნინო კუკულაძე - საქართველოს პარლამენტის წევრის ბიუროს პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი;

ხათუნა შარაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების უფროსი;

ნუგზარ ასათიანი - გაზეთ “ალიონის“ რედაქტორი;

თეა იოსელიანი - გაზეთ “გურიის მოამბეს“-ს რედაქტორი;

მაყვალა ბურკაძე - ბენეფიციარი;

ქალაქ ოზურგეთის მერმა, ბეგი სიორიძემ ოზურგეთში თაყაიშვილის ქ. №58 ა-ში ტარიელ ვასილევს უნებართვო სამშენებლო სამუშაო შეუჩერა.

გიორგი (ჟორა) ვასილევი გასული წლიდან აწარმოებდა მიწის მოზვინვის სამუშაოებს. როგორც ირკვევა, მას ქალაქ ოზურგეთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ურბანული განვითარებისა და მშენებლობის სამსახურისთვის შეთანხმების თაობაზე არ მიუმართავს.

მოსახლეობის თქმით, სამუშაოების ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა არამყარი ნარჩენებით გარემოსა და გზების დანაგვიანებას.

მერმა სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, ურბანული განვითარებისა და მშენებლობის სამსახურის ზედამხედველობის განყოფილებას მდგომარეობის გარკვევა დაავალა. ხსენებული სამსახურის კანონიერი დასკვნის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც ტარიელ ვასილევი მშენებლობის ნებართვის მოპოვების დამადასტურებელ დოკუმენტსა და გელოგიურ დასკვნას წარადგენს, გაირკვევა, განხლდება თუ არა თაყაიშვილის ქუჩა №58 ა-ში სამშენებლო სამუშაოები.

“ამ ქალაქში არცერთმა მოქალაქემ არ უნდა მისცეს თავს უფლება, წამოიწყოს რაიმე ტიპის უნებართვო საქმიანობა. ამისთვის არსებობს კონკრეტული სამსახურები. საჭირო დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ გაირკვევა, ექნებათ თუ არა მათ სამშენებლო სამუშაოების გაგრძელების უფლება.“ - აღნიშნა ქალაქის მერმა.

ზეგ ქართული თეატრის დღეა

2014 – დაბრუნება ევროპაში, მომავალი წარმატებების ტრამპლინი

ახალი წელი განვლილის შეფასებაცაა და იმ გზის დაგეგმვაც, რომელამდეც სწორედ წარსულმა აქტივობებმა მიგვიყვანა.

ოზურგეთის თეატრში მეტია კმაყოფილების განცდა და მომავალში უკეთესობის მოლოდინი. თუმც, შარშანდელი წელიწადი მარტივი არ ყოფილა. იყო ტკივილიც, იმედგაცრუებაც, ბრძოლა და წარმატება:

ვასო ჩიგოგიძე, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი: „ – გასული წელი ჩვენთვის იყო მოლოდინებითა და სირთულეებით სავსე დადებითი წელიწადი. პირველი და უმთავრესი, რომ თეატრმა ღირსეულად აჩვენა თავისი სახე ქვეყნის მასშტაბით ერთ და სამ საერთაშორისო ფესტივალზე: გორის კომედიის, თბილისის საერთაშორისო და ყველაფერ ამის გვიგვინი – ლიტვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, სადაც ჩვენ ორ ქალაქში, როკისკისსა და პანევეჟისში გვქონდა სპექტაკლი, გაღრმავდა ჩვენი ურთიერთობა მილტინისის თეატრთან. მთავარი იყო სწორედ ეს: ლიტვის ფესტივალში მონაწილეობას დაერქვა დაბრუნება ევროპაში. 1990 წელს ჩვენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასტროლით დავასრულეთ ციკლი, რომელსაც ოზურგეთის თეატრის ოქროს ხანას უწოდებენ. გვქონდა კარგი გასტროლი რუსთავში.

ამიტომ, გასული წელიწადი იყო ძალიან კარგი სატრამპლინო წელიწადი მომავალი გასტროლებისა და ფესტივალებისათვის. 2014 წელი თეატრმა დაიწყო მძიმე დანაკლისით. თეატრს გამოაკლდა რეჟისორი და მსახიობი შოთა ბაბილოძე, მსახიობი ვალერიან კანთელაძე, „კოჭო“. ძალიან დაგვეტყო ნუგზარ ბარამიძის ავადმყოფობა, იმედია იგი მალე შემოგვერთდება. შტატით ოცდაერთი მსახიობი გვყავს თეატრის დირექტორის, რეჟისორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ჩათვლით. ძალიან გვჭირდება ახალი ძალებით შევსება. განსაკუთრებით თავი იჩინა უფროსი თაობის მამაკაცებისა და ახალგაზრდა გოგონების სიმცირემ. იყო პერიოდი როცა გვყავდა ამირან ქადეიშვილი, გივი ახმეტელი, ფორმაში გაბრიელ მდინარაძე და ასე შემდეგ. ველოდები შევსებას სტუდიელებისაგან, რომლებიც ძალიან საინტერესოდ მუშაობენ. ეს ყველაფერი შედეგს გამოიღებს, მართალია, არა ერთ წელიწადში.

ყველა ოთხშაბათსა და პარასკევს თეატრში იმართება სპექტაკლები. ახალი თეატრალური სეზონის გახსნასა და დახურვას ეძღვნება თეატრალური კვირეულები, ხდება თეატრალური კრიტიკოსების მოწვევა და სპექტაკლების შეფასება. 2014 წლის გაზაფხულზე შესაძლებელი გახდა ოზურგეთის თეატრში აღდგენილიყო რეჟისორის მოწვევის პრაქტიკა, რის შედეგადაც მივიღეთ რეჟისორ კანდიდ გურგენიძის სპექტაკლი „იავნანამ რა ჰქნა?!“ სპექტაკლი თეატრის რეპერტუარში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და მაყურებლის საყვარელი ნაწარმოებია. შარშან დაინერგა თეატრში მსახიობთა ათ ბალიანი სისტემით შეფასების პრინციპი და მათი ბონუსებით წახალისება, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

შარშან პირველად ჩავატარეთ 146-ე სეზონისა და 147-ე თეატრალური სეზონის დასაწყისის შემოქმედებითი ცხოვრების პრეზენტაცია, თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილი იყო ვიდეო და ფოტომასალა. მოწვეული იყო რაიონის, ქალაქის, გუბერნიის ხელმძღვანელობა, მასმედია, საზოგადოება. მართალია ბევრი ვერ მოვიდა, მაგრამ თეატრი ყველა ღონეს ხმარობს მაყურებლის მობილიზაციისათვის, და ეს არის სწორი მიმართულება. ჩვენ ყოველთვის ინფორმირებული გვეყოლება მაყურებელი, ხშირად მოვიწვევთ, გავითვალისწინებთ მათ სურვილებს.

კულტურის სამინისტროს დაფინანსებით შევიძინეთ თანამედროვე კინო აპარატურა, რომელიც დამონტაჟდა მცირე დარბაზში, გადმოგვეცა საგანმანათლებლო, დოკუმენტურ-შემეცნებითი ფილმები. ასევე სამინისტრომ დაგვიფინანსა სპექტაკლის „დონ ჟუანის დაბადება“ სადადგმო ხარჯი, დავამზადებინეთ პროფესიონალური დეკორაცია. შევიძინეთ 10 ცალი თანამედროვე ლედ განათება თავისი პულტებით.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ქალაქის მერიისა და რაიონის გამგეობის გვერდში დგომა და დიდი ღვაწლი კონკრეტულად ქალაქის მერის, ბატონი ბეგი სიორიძის. მისი მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშნელოვანია ფესტივალებზე, გასტროლებზე გამგზავრების თუ სხვა საკითხების გადაწყვეტისას. ჩვენი გასვლა ლიტვაში მოხეხდა პირადად ბატონი ბეგის დაფინანსებით. მერია დაგვეხმარა „დონ ჟუანის დაბადების“ დეკორაციის ჩამოტანაში. ყურადღებას არ გვაკლებს გამგეელი და დეპუტატი, ბატონები მერაბ ჭანუყვაძე და ზვიად კვაჭანტირაძე.

რაიონული გამგეობისა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩვენ გავიჩინდა თანხა პროგრამული დაფინანსებით, რაც სპექტაკლების სადადგმო ხარჯისათვის და სოფლებში გასვლებისათვისაა.

შეუძლებელელია მადლიერებით არ აღინიშნოს, რომ 2014 წელს ჩვენ შევხვდით საგრძნობლად გაზრდილი ბიუჯეტით და ეს ნაბიჯი გადადგა გამგეობის წინა შემადგენლობამ.“

ზაზა ჯინჭარაძე, თეატრის დირექტორი: „– ოზურგეთის სახელმწიფო თეატრს 2014 წელი ჰქონდა ძალიან წარმატებული, ბოლო 20 წლის მანძილზე შემოქმედებითად ასე დატვირთული არ ვყოფილვართ. მოვიარეთ და ღირსეულად გამოვედით სამ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. მათ შორის აღსანიშნავია ლიტვის საერთაშორისო ფესტივალი, სადაც ჩვენმა მსახიობებმა ექსპერტთა დადებითი შეფასება დაიმსახურა. 2015 უფრო საინტერესო იქნება.

ვულოცავ შობა-კალანდის შემობრძანებას ყველას, რა თქმა უნდა, ჩვენს ერთგულ მაყურებელს, რომლებიც მოდიან და ამ რთულ პირობებში, გაყინულ დარბაზში და ამხნევებენ ჩვენს მსახიობებს ოვაციებით. მრავალ ახალ წელს დავსწრებოდეთ ერთად სიყვარულითა და სითბოთი.“

დიდი მადლობა მედიას თეატრის ცხოვრებისადმი ყურადღებისათვის და თანამშრომლობისათვის, მაყურებელს სიყვარულისათვის, ინტერესისა და კეთილი სურვილებისათვის, ჩვენს მეგობრებს ფეისბუქზე. https://www.facebook.com/ozurgetis.s.teatri - ეს არის ჩვენი გვერდი, რომელიც ფუნქციონირებს 2009 წლიდან და სადაც ყველაზე ოპერატიულად გაეცნობით თეატრის სიახლეებს.

ლია კილაძე,
ოზურგეთის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის
პრეს სამსახური

სურვილი და რეალობა, ანუ როცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს

ფიქრობენ, საუბრობენ, გადაწყვეტილებებს იღებენ... სურვილები რეალობაში ჩნდებიან და განხორციელების გზების ძებნა იწყება. მერე ყველა თავის ადგილს ეძებს. ყოველ შემთხვევაში ცდილობს საკუთარი თავის დანახვას ფიქრებშიც, საუბრებშიც, გადაწყვეტილებებშიც...

რა ხდება განხორციალებისას? აქ უმეტესად სხვაა რეალობა, ვიდრე სურვილი.

კითხვაზე - რას შეცვლიდი შენს ცხოვრებაში, ყველაფერი რომ თავიდან დაგეწყო, განსხვავებული იყო ჩემი რესპონდენტების პასუხები. ისინი სწორედ იქედან გამომდინარეობდა, რამდენადაც დაცილებული იყო მათი სურვილები და მოლოდინები მათივე ცხოვრების რეალობას.

ამ შემთხვევაში ჩემი რესპონდენტები ქალბატონები გახლდნენ. ოზურგეთის სინამდვილესაც გადავავლეთ თვალი. რა არის ქალთა სურვილები და როგორ ცხოვრობენ ისინი. რა სფეროში ახერხებენ საკუთარი თავის რეალიზებას და რა ბარიერები არსებობს მათ წინაშე. რისი გადალახვა შეუძლიათ და რისი არა.

გამოკითხულთაგან 70 პროცენტისთვის სულ სხვაგვარად აპირებდა ცხოვრების გაგრძელებას. უმრავლესობისთვის ნორმალურ ანაზღაურებადი სამსახური განუხორციელებელ ოცნებად დარჩა. დასაქმების ერთადერთ საშუალებად ნაწილი ვაჭრობის სფეროს მიიჩნევს.

დაწყებითი სკოლამდელი დაწესებულებებიდან დავიწყებთ საუბარს, აქ ქალთა საზოგადოებაა დასაქმებული. სკოლის მასწავლებელთა თითქმის 95% ქალბატონებია. სავაჭრო დაწესებულებებშიც უმრავლესობაში არიან. ამას ვერ ვიტყვით სამედიცინო დაწესებულებებზე, განსხვავებით აფთიაქებისგან. სამაგიეროდ ძალოვან სტრუქტურებში მამაკაცთა სიმრავლეა. ტაქსის მძღოლებიც მამაკაცები არიან, პოლიტიკაშიც მათი მრავლობაა. თუმცა ოზურგეთში ამჟამინდელი მაჩვენებლებით, ნამდვილად უკეთესი მდგომარეობაა. ვერც საკრებულოში დავემდურებით ქალთა სიმრავლეს. ბიზნესშიც არიან წარმოდგენილნი. აქტიურობითა და საკუთარი, ინდივიდუალური სტილით ისინი გამოირჩევიან.

ხშირად საუბრობენ, ქალს არავინ უშლის ხელს, იყოს წარმატებული. წარმატებულ ქალს უსვამენ კითხვას - გიშლით თუ არა კარიერა საოჯახო საქმიანობაში ხელს? მამაკაცებს ამ კითხვას არავინ უსვამს. უმრავლეს შემთხვევაში ქალს დაბალანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება უწევს. როცა არჩევანი არ არსებობს, ამ რეალობასაც ვერსად გაექცევი - სახლში ჯდომას და სულ არაობას ჯობიაო - ამბობენ. თუმცა გაურკვეველია თვითდამშვიდების, ან სხვათაგან დამშვიდების მცდელობა - ქალისთვის მშვენიერი ხელფასია.

ვინ გაზომა ხელფასის მშვენიერება ამ ფორმით. ან ეს ფორმულა ვინ დაამკვიდრა?

ისევ სურვილებს დავუბრუნდეთ: რა უპირატესია, ვინ სად ეძებს თავის ადგილს, რას ირჩევს რის სანაცვლოდ. იქნებ იქ, სადაც საკუთარ თავს უპიტარესად ხედავს.

ეს ოჯახია? კარიერაა? ყველა ჩემი რესპონდენტი ცალსახად პასუხობს, რომ ოჯახი უპირატესია. კარიერა კი ოჯახისთვის სჭირდება.

და საკუთარი თავის რეალიზება რაღა არის მეთქი, - კითხვა უკვე საკუთარ თავს დავუსვი და პასუხიც ასეთი მივიღე - როცა ოჯახში გისმენენ და უსმენ, როცა შენი სჯერათ და შენ გჯერა მათი, როცა ზრუნავ ოჯახის წევრებზე და ისინი შენზე ზრუნავენ. როცა ხელს არავინ გიშლის, იყო წარმატებული. საკუთარ თავსაც არგო და საქმესაც. როცა საზოგადოება გისმენს და სჯერა შენი, როცა იძულებით კი არა, სურვილით აკეთებ საქმეს. როცა საკუთარი თავისაც გჯერა და ცდილობ ადგილი სწორედ იქ დაიმკვიდრო, სადაც ეს აუცილებელია – ეს ოჯახია, ეს საზოგადოებაა, ეს პოლიტიკაა...

ნინო ნიკოლაიშვილი
ოზურგეთის გენდერის
მედია ცენტრი

გოჩა კრასოტკინი – საუკეთესო მწვრთნელი

ალიონი. გასული წლის ბოლოს ქ. ოზურგეთის მერიამ სახელმწიფო თეატრში წლის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები დაჯილდოვა. დაჯილდოებულთა შორის ბახვის საფეხბურთო სკოლის მწვრთნელი გოჩა კრასოტკინიც იყო.

ახვის საფეხბურთო სკოლის მიღწევებზე არაერთი სტატია დაიწერა გაზეთ „ალიონის“ ფურცლებზე. ან 1998 წელს ენთუზიაზმით დაიწყო მუშაობა სოფელ ბახვში. 2001 წელს ჩამოაყალიბა ბახვის საფეხბურთო კლუბი და მომდევნო წლიდან დაიწყეს მონაწილეობა აჭარა-გურიის ზონალურ თამაშებში.

2008 წელს კლუბი ოზურგეთის სასპორტო სკოლას შეუერთდა.

2008 წელს ბახვის გუნდი აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში, დიდ საფეხბურთო ტურნირზე „მომავლის ვარსკვლავები„ გაემგზავრა. დაამარცხეს ისეთი ცნობილი კლუბების თანატოლები, როგორიცაა „ნეფტჩი,“„ინტერი“ და ა.შ.

2009 წელს ქ. თბილისში „ნორჩ დინამოელთა“ თასზე პირველი ადგილი დაიკავესრამდენიმე ბახველი ფეხბურთელი „ნორჩ დინამოელში“ მიიწვიეს.

არალერულად გოჩა კრასოტკინმა სოფლის საჯარო სკოლაში ფეხბურთელ გოგონათა გუნდი „ბახვი“შექმნა, რომელმაც 2008 წელს „თჯს“-ს გურიის რეგიონის თასი მოიპოვა.

2009-2010 წლებში ბახვის გუნდმა ზვიად ცეცხლაძის ტურნირზე პირველი, ქ. ბათუმში ომარ ბოლქვაძის ტურნირზე, აჭარა-გურიის ჩემპიონატებში მეორე ადგილი დაიკავა.

2010 წელს ბახვის გუნდი რეგიონის გამარჯვებული გახდა „სკოლბურთში“, ხოლო ვაჟთა გუნდმა გაიმარჯვა ქ. თბილისში საფეხბურთო კლუბ „ჯოლეადორის“ ინიციატივით ჩატარებულ ტურნირში. მჯერადაც ბახველი ფეხბურთელები თბილისურმა კლუბმა მიიწვია.

2012 წელს ბახვის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი „ბახვი“ კვლავ გახდა რეგიონის ჩემპიონი და საქართველოს მასშტაბით II ადგილი დაიკავა.

2013-2014 წელს ბახვის ვაჟთა გუნდი აჭარა-გურიის ჩემპიონატში ანზორ კვაჭაძის ტურნირის გამარჯვებული გახდა.

საინტერესოა, რომ ამხანაგურ შეხვედრებშიც ბახველები წარმატებებს აღწევენ. ასული წლის ბოლოს მათ ქუთაისის „ტორპედოს“ და ბათუმის „დინამოს“ თანატოლები 5:2 და 2:1 დამარცხეს.

გოჩა კრასოტკინმა გაზეთ „ალიონთან“ საუბარში მადლიერება გამოხატა ქ. ოზურგეთის მერიის, ოზურგეთის სასპორტო სკოლის მიმართ.

კალანდა გურიაში

ყველასთვის ცნობილია, რომ გურიაში ახალ წელს განსაკუთრებულად ხვდებიან, თუმცა, როგორც ამბობენ, გურულებისთვის ახალი წელი 14 იანვარს თენდება და მას კალანდას ეძახიან... არც ისაა უცნობი, რომ გურია თავისი ფოლკლორით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კუთხეა, ამიტომ გადავწყვიტე, გავსაუბრებოდი გურული სიმღერების ლოტბარს ტრისტან სიხარულიძეს და სწორედ მას მოეყოლა, როგორ ხვდებოდა ბავშვობაში კალანდას ილარიონ სიხარულიძის ოჯახი და როგორ ხვდებიან დღეს.

— ბევრი ხუმრობით აღნიშნავს, რომ ქართველებს ორი ახალი წელი გვაქვს, თქვენ როგორ ხვდებით 31 დეკემბერს?

— ნამდვილი ახალი წელი ჩემთვის არის 14 იანვარი, რაც შეეხება 31 დეკემბერს, რა თქმა უნდა, აღვნიშნავთ, მაგრამ ჩვეულებრივად, 12 საათზე გავდივართ გარეთ, ვისვრით თოფს, ვულოცავთ ერთმანეთს ახალი წლის შემოსვლას და ძირითადად ასე აღვნიშნავთ, თუ ვინმე სტუმარი გვყავს, ვქეიფობთ...

— რაც შეეხება კალანდას, როგორც აღნიშნეთ, თქვენთვის ახალი წელი სწორედ 14 იანვარს თენდება.. იქნებ გაიხსენოთ, როგორ აღნიშნავდით ბავშვობაში ამ დღესასწაულს?

— ეს არის ჩვენი ტრადიციული, გურულების ახალი წელი, კალანდა... მახსოვს ბავშვობაში რა ხდებოდა ამ დღესასწაულზე... ოჯახის უფროსი ახალი წლის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე იღებდა გობს, ეს არის ხის გათლილი ჭურჭელი, აწყობდა სურსათს და ყველაფერს, რაც საახალწლო სუფრაზე უნდა ყოფილიყო: ღორის თავი, ხაჭაპური, ტკბილეულობა და ხილი... 10 წუთით ადრე ოჯახის უფროსი კარზე მოაკაკუნებდა და დაიძახებდა: „გამიღეთ კარი“! ოჯახის დიასახლისი კი შეეკითხებოდა: „რა მოგაქვს?“ პასუხი კი იყო ასეთი: სიკეთე, სიყვარული, ღორის თავი, ჩურჩხელა და ა.შ. ასე მეორდებოდა სამჯერ. მერე შემოდიოდა სახლში და ამ ყველაფერს აწყობდა ტაბლაზე, ეს არის ხის გრძელი მაგიდა, რომლის ირგვლივაც ეწყო ჯორკოები, ანუ გურული სამფეხა სკამი, რომელზედაც ჩამოჯდებოდა და შემდეგ უკვე იწყებოდა ქეიფი ოჯახის წევრებთან ან სტუმრებთან ერთად.

— როგორც ვიცით, გურიაში კალანდის აუცილებელი ატრიბუტია ჩიჩილაკი...

— დიახ, ჩიჩილაკი ყველა სახლში უნდა იყოს ახალ წელს, ეს არის ტრადიციის შემადგენელი ნაწილი... საერთოდ, ჩიჩილაკი არის წმინდა ბასილის წვერები, ძველად ასე განმარტავდნენ... იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გაწყობილი კანფეტებით, რადგან იმ დროში არ იყო ამდენი შოკოლადი, გასანათებელი ნათურები, ამიტომ ჩვენ ვრთავდით „კურკანტელებით“, ასე ვეძახდით წითელ კაკლებს, რომლებსაც ეკალ-ბარდი ისხამდა.... რაც შეეხება ნაძვის ხეს, მაშინ არ იყო ხელოვნური ნაძვები, ჩვენ ვჭრიდით, მაგრამ შემდეგ აიკრძალა და სწორიც არის, რადგან ჩვენ, ბავშვები, წავიდოდით, ნაძვს თავს გადავჭრიდით და ის ხე უკვე აღარ გაიხარებდა და ხმებოდა...ახლა ხელოვნური ნაძვის ხეები გვაქვს ძირითადად, მაგრამ სანერგეებიც ხომ არსებობს, ხელოვნური არაფერი ვარგა... სათამაშოებსაც ჩვენ თვითონ თუ გავაკეთებდით, თორემ მაშინ გაჭირვების დრო იყო და ახლა რომ არის ლამაზი სათამაშოები, მასეთი ჩვენ არ გვქონია. ასე ვხვდებოდით კალანდას...

— იყო თუ არა მნიშვნელოვანი, ვინ იქნებოდა ოჯახში მეკვლე?

- რა თქმა უნდა, მეკვლე, ფეხადს ვეძახდით ჩვენ კიდევ, უნდა შემოსულიყო 12 საათზე, ეს იყო ოჯახის მოჭირნახულე კაცი, ვისაც გული შესტკიოდა ამ ოჯახზე, შემოსვლის დროს ამბობდა სიტყვებს: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! შემოყრიდა კანფეტებს, შემდეგ დაილოცებოდა, სადღეგრძელოც განსაკუთრებული იყო, თუმცა კარგად აღარ მახსოვს , რა სიტყვებს ამბობდა....

— რაც შეეხება შობას, დადიოდით თუ არა ალილოზე?

— შობა ეს არის კალანდის წინა კვირა, რა დღეც არის შობა, ის დღეა შემდეგ კალანდაც, პირადად მე ბავშვობაში ჩემს დასა და ბიძაშვილებთან ერთად დავდიოდი ალილოზე... რაც ნიშნავს იმას , რომ ჩამოუვლიდი სამეზობლოს და ჭიშკართან იმღერებდი ალილოს, მეზობელი კი გამოვიდოდა და გამოჰქონდა საჩუქრები: ჩურჩხელა, შაქარყინული, კანფეტები...ჩვენ კი უნდა დაგველოცა ოჯახი... ეს იყო ალილოობა...

— დაბოლოს, ახლა როგორ ხვდებით კალანდას?

— ზოგადად, აუცილებლად უნდა დაიკლას ღორი, რომ საახალწლო სუფრაზე იყოს ღორის თავი...“ სიმსუყე“ უნდა იგრძნობოდეს სუფრაზე... რაც მთავარია, ოჯახი უნდა ხვდებოდეს კალანდას ერთად, ბევრჯერ იყო შემთხვევა, რომ გვქონდა კალანდას კონცერტი, თუმცა 12 საათზე უნდა ვყოფილიყავით ოჯახში, რადგან ამას „იბრძნიდნენ...“ ყველაფერი უნდა დატოვო და კალანდას სახლში უნდა შეხვდე....

ბოლოს, მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და საქართველოს, ჩემს გურიას მივულოცო ახალი წელი, დამდეგი კალანდა! დაე, ეს წელი ყოფილიყოს ყველასთვის სიკეთის, სიხარულის მომტანი და საქართველოს გამთლიანების წელიწადი...

ესაუბრა

ხატია ჟანიშვილი

საკალანდო ექსპრომტი ოზურგეთს

დრო მოვიდა, გამოგიტყდე
სიყვარულში, ერთო,
ეს სათქმელი, „აღუს“ მერე,
შენთვის უნდა მეთქო.

ყურს ჩამესმის მეტოქეთა:
„თითი მოვღუნეთო“...
მეგაქალაქს მირჩევნიხარ,
ციდა ოზურგეთო!

ფუძევ — მოყვარეთა,
ელდავ — მოშურნეთო,
ცის მნათობთა მომღერალო,
ღრუბელთ მოძულეთო!

ერთი მზე გაჩუქე,
ორ ზურგს როგორ გეთბო?
ალალ დანარჩენის
სხივიც შენთან ენთოს!

დღეო პირმცინარო,
ღამევ მოკუნეთო,
ბანი დამაწიეთ,
ბანი მოგუდეთო!

კეთილთ მოკეთევ და
არც მტერთ მოძულეთო,
მტკიცე ბალავარო,
ციხე-ქონგურეთო.

კარგის მოთავევ და
ცუდის მოზურგეთო,
შენ ერთს გაგიმარჯოს,
ედემ-ოზურგეთო!

მხოლოდ აქ თუ გნახავ,
ზღურბლზე მოსულს, ღმერთო...
კალანდას გილოცავ,
ჩემო ოზურგეთო!!!

თემურ მარშანიშვილი

საახალწლო მუსიკალური ნოტები

ქეთი ბოლქვაძე,

ქალაქ ოზურგეთის სამუსიკო სკოლამ საახალწლო კონცერტი გამართა. ბავშვებისა და პედაგოგების მონდომების შედეგად, დარბაზიდან ჰარმონიულად აფრენილი მუსიკალური ნოტები ტკბილ ჰანგებად მოეფინა მთელ ქალაქს. დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივი აპლოდისმენტებით შეაფასა სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა გამოსვლა.

„რარო. რარო, რა მოხდაო?!“

ქეთი ბოლქვაძე,

„რარო. რარო, რა მოხდაო?! “ — 26 დეკემბერს ოზურგეთის №2 საჯარო სკოლიდან გამოსროლილი ამ სიმღერის ექო ლამის მთელ ქალაქს გადაწვდა. დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა აქ გამართული საახალწლო კონცერტით ნამდვილი საკარნავალო განწყობა შეუქმნა დამსწრე საზოგადოებას.

კონცერტის დასასრულს საახალწლო საჩუქრებით ხელდამშვენებულმა ბავშვებმა, მათმა პედაგოგებმა, მშობლებმა და მაყურებლებმა სამახსოვრო სურათები გადაიღეს.

გურული ფოლკლორული ტრიო „შალვა ჩემო“ 10 წლისაა

„2004 წელს ანზორ ერქომაიშვილმა მთხოვა, გამეკეთებინა ტრიო გური სიხარულიძესა და მერაბ კალანდაძესთან ერთად. საკმაოდ კარგი იდეა იყო და დავიწყეთ ფიქრი. გურისა და მერაბთან ერთად ,მალევე შევუდექი მუშაობას და რამდენიმე დღის შემდეგ პროგრამაც შევადგინეთ...“ სწორედ ასე დაიბადა, ტრისტან სიხარულიძის თქმით, ფოლკლორული ტრიოს „შალვა ჩემოს“ ჩამოყალიბების იდეა... ტრიოს შექმნიდან 10 წელი უსრულდება, თუმცა ჩამოყალიბების პროცესში საკმაოდ ბევრმა პრობლემამ იჩინა თავი. პირველ რიგში, მოსაფიქრებელი იყო სახელი... „მაშინ ვანო ჩხარტიშვილთან ვიყავით, ჯემალ ჭკუასელთან, ანზორ ერქომაიშვილთან, კოკი ცეცხლაძესთან ერთად, ანზორი ჩვენი ტრიოს შესახებ მოუყვა იქ მსხდომთ, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ სპონსორი არ გვყავდა, კოკიმ ყველას დაასწრო და ჩვენი სპონსორობა საკუთარ თავზე აიღო, მაშინვე დაგვპირდა, რომ ფორმებს შეგვიკერავდა და დაგვაფინანსებდა ყოველთვიურად... 2004 წელი გაჭირვების პერიოდი იყო და სპონსორი აუცილებლად გვჭირდებოდა... რომ არა ანზორ ერქომაიშვილი, კოკი ცეცხლაძე და ვანო ჩხარტიშვილი, ეს ტრიო ვერ იარსებებდა“ - იხსენებენ ტრიოს წევრები.. .თუმცა სახელი ჯერაც მოუფიქრებელი იყო, ამიტომ ტრიოს წევრებმა გადაწყვიტეს კოკი (შალვა) ცეცხლაძისთვის მადლობა გადაეხადათ და სწორედ მის საპატივცემულოდ დაერქვა ტრიოს „ შალვა ჩემო“, რომელიც ამავე დროს ერთ-ერთი გურული სიმღერის სახელიცაა... ამის შემდეგ უკვე ტრიომ ჩაწერა პირველი დისკი „შალვა ჩემო“, რომელშიც შედიოდა 22 სიმღერა, ხოლო დისკის ჩაწერის შემდეგ ტრიოს ,მისი არსებობის ისტრიაში, ჰქონდა პირველი გასტროლი საფრანგეთში, შემდეგ კი უკვე მრავალ ქვეყანაში გამართეს კონცერტები, მათ შორის: ამერიკაში, გერმანიაში, საბერძნეთში, ნორვეგიაში, პოლონეთში, ლიტვაში... ტრიომ უკვე გამოუშვა მეორე დისკი, (18 სიმღერა) და ამჟამად მუშაობს მესამე დისკზე... თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს ტრიო არსებობს ადამიანთა კეთილი ნებით, ტრიო სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ ფინანსდება....

ტრიოს წევრებმა გაიხსენეს ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები, რომლებიც „შალვა ჩემოს“ ჩამოყალიბების დღიდან დღემდე მომხდარა... „თბილისში სტუმრად მიგვიწვია მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილმა, ჩვენც ჩავედით, დაგვაბინავა თავისივე სასტუმრო „მუზაში“, გავიცანით მერაბ ბერძენიშვილი, მისი ძმა, ასევე სხვა სტუმრები, რომლებიც იყვნენ გურულები... ვიმღერეთ, გურული ანეგდოტებიც მოვყევით, ძალიან კარგი საღამო იყო, სწორედ იმ დღეს გამოთქვა მერაბ ბერძენიშვილმა სურვილი, გაეკეთებინა ჩვენი საღამო... დავიწყეთ მზადება, მანვე შეაკერინა ფორმები თავისივე ესკიზით... საღამო ანზორ ერქომაიშვილს მიჰყავდა, ჩვენთან ერთად იყო ანსაბლი „ბასიანი“... მოკლედ, ძალიან კარგი საღამო გამოვიდა და მას შემდეგ ჩვენი ურთიერთობა გრძელდება...“

რაც შეეხება გასტროლებს, როგორც ტრისტან სიხარულიძე ამბობს, ყველაზე შთამბეჭდავი იყო ამერიკაში გასტროლი...„ ჩვენ ერთი კვირით უნდა წავსულიყავით ამერიკაში პროექტ“ჩვენებურების“ ფარგლებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა დარეჯან კუხიანიძე, მაგრამ მე მყავს ამერიკელი მეგობარი კარლ ლიმეკი, რომელმაც ერთი კვირით გაგვიხანგრძლივა გასტროლი და კიდევ 7 შტატში ჩავატარეთ კონცერტები: ვაშინგტონში,ნიუ-იორკში, ფილადელფიაში... ნიუ-იორკში კი ვნახე ანზორ ერქომაიშვილის ყოფილი მოსწავლე ზურაბ ნინუა, რომელიც მღერის ნიუ-იორკის ცენტრალურ ოპერაში... სწორედ მან დაგვათვალიერებინა ქალაქი...

ტრიო „შალვა ჩემო“ აგრძელებს მუშაობას, მალე მათი მესამე დისკიც გამოვა...

ხატია ჟანიშვილი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

ოზურგეთის თეატრის მსახიობები

სერგო ჩხაიძე

მომავალი მსახიობი, გმირი, სამეურნეო მუშაკი სერგო ჩხაიძე 1909 წლის 12 დეკემბერს დაიბადა სოფელ აკეთს (ოზურგეთის მაზრა).

1937 წელს დაამთავრა მახარაძის პედსასწავლებელი და სწავლა განაგრძო ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სტუდიაში.

სტუდიაში სწავლისას მონაწილეობდა იმავე თეატრის სპექტაკლებში და ნათლად ავლენდა თეატრალური ხელოვნების უნარს.

1941 წელს დაამთავრა თეატრალური სტუდია, დაბრუნდა მახარაძეს და მაშინვე ჩარიცხეს მახარაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასში. სულ რამდენიმე სპექტაკლში მოასწრო თამაში და, თავისი უნარის წყალობით, წარუშლელი კვალი აღბეჭდა თეატრის ისტორიაში.

იმ უმძიმეს ჟამს მახარაძის თეატრის ბევრი მსახიობი მოწყდა თავის საყვარელ შემოქმედებას და საომრად გაეშურა.

ესენი იყვნენ: გრიგოლ ღლონტი, შ. გობრონიძე, გ. ხომერიკი, შ. ლომჯარია, კ. ძიძიგური, ა. ჭეიშვილი და სხვა.

მათ შორის იყო ახალბედა მსახიობი ს. ჩხაიძეც.

მამაცი ჯარისკაცი ჯერ ამიერკავკასიის ფრონტზე იბრძოდა, შემდეგ ჩრდილო-კავკასიას, ხოლო ბოლოს უკრაინის IV ფრონტზე გადაისროლეს.

ამასობაში წლები გავიდა და სამხედრო წოდებებიც მიემატა. 1944 წლის მაისში ის უკვე უფროსი სერჟანტი გახლდათ და ათეულს მეთაურობდა.

ამ დროს სამხედრო შენაერთი, რომელშიც სერგო ირიცხებოდა, სევასტოპოლთან იბრძოდა. ბრძოლა მეტად ფიცხელი იყო და თუ არა მეომართა სიმამაცე, დამარცხება გარდაუვალი გახლდათ. სიმამაცე არც სერგოს აკლდა, რაც შენიშნეს და გმირობაზეც დამსახურებულად წარადგინეს. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ეს წარდგინება და სერგოს საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

ამ დიდ ომში ბევრმა ქართველმა მეომარმა,- ოფიცერმა თუ გენერალმა, – დაიმშვენა მკერდი ომის გმირის ოქროს ვარსკვლავით, მაგრამ მათ შორის მსახიობი მხოლოდ ერთი, ს. ჩხაიძე ბრძანდებოდა.

ომი თანდათან საფინალო ეტაპზე გადადიოდა, მაგრამ მაინც ბევრ მეომარს იწირავდა. მათ შორის არც ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები იყვნენ მცირედ.

ესენი იყვნენ: სიმონ კუპრაძე, გერასიმე ქიქოძე, შოთა ჩავლეიშვილი და სხვები.

საბედნიეროდ, სერგო ჩხაიძე გადაურჩა მტრის რისხვას და საღსალამათი დაბრუნდა შინ.

გმირის დაბრუნება დიდ ზეიმად იქცა.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მაშინდელი ხელმძღვანელობა დღედღეზე ელოდა გმირის დაბრუნებას თეატრში, მაგრამ გმირმა რატომღაც ახლა ცხოვრების სამეურნეო სფერო აირჩია სამოღვაწეოდ და იქაც დიდი წარმატებით იღვწოდა.

მისი წინამძღოლობით ლაშეგაკირულის კოლმეურნეობამ დიდ წარმატებებს მიაღწია, თუმცა, არა მარტო სამეურნეო ხაზით. თავმჯდომარე მშრომელთა კულტურული ცხოვრების ამაღლებაზეც ენერგიულად ზრუნავდა. სოფელში შეუფერხებლად მუშაობდა სიმღერისა და ცეკვის საკოლმეურნეო ანსამბლი (ხელმძღვანელი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანანია ერქომაიშვილი). სცენისმოყვარულთა დასი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

დიდმა ბრძოლამ და შრომამ თავისი გაიტანეს და გმირს თვალსაჩინოდ შეუმცირეს მიწიერი სიცოცხლის ხანგრძლივობა და იგი 52 წლის გარდაიცვალა 1971 წლის 1 აპრილს.

მიუხედავად სიცოცხლის ეგზომი სიმოკლისა, მედგარი ბრძოლითა და შრომით ს. ჩხაიძემ იმდენი შეძლო, რომ დავიწყების ბურუსი სამუდამოდ გაფანტა და მზის შარავანდედის გვირგვინით დამშვენებული ამაყად დამკვიდრდა სამარადჟამო სასუფეველში.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

საბავშვო ბაღების აღსაზრდელებმა შობა-ახალი წლის მოსვლა იზეიმეს

ქეთი ბოლქვაძე,

ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრისა და ქალაქის მერიის ხელშეწყობით, საბავშო ბაღების აღსაზრდელებმა შობა-ახალი წლის მოსვლა იზეიმეს.

სადღესასწაულოდ მორთულ დარბაზებში პატარებმა სხვადასხვა ზღაპრის გმირები გააცოცხლეს. სიხარულისგან ანთებული აღსაზრდელები ნაძვისხის ირგვლივ, თოვლის ბაბუასთან ერთად, მღეროდნენ და ცეკვავდნენ. მათ გულწრფელი მადლობა გადაუხადეს მობრძანებულ სტუმრებს მობრძანებისა და საჩუქრებისთვის.

ღონისძიებას ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე შეუერთდა. მან ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა საინტერესო სანახაობისთვის და წარმატებული წლის დადგომა უსურვა.

ფირალი სისონა დარჩია

ენვერ გოგუაძე

დასაწყისი იხ. ალიონი №47-52 2014 წ., №1, 2015 წელი.

1889 წლის 7 სექტემბერს სტრაჟნიკებთან სისონას მიერ გადახდილ ამ საარაკო ბრძოლის შესახებ გაზ. „ივერია“ წერდა: „გურიიდან კიდევ გვწერენ ავაზაკების დაჭერის თაობაზე: 7 ენკენისთვეს, დილით, ასე 6 საათზე, შეატყობინეს მაზრის უფროსს. რომ გავარდნილი ავაზაკი: ძმანი დარჩიები და დათუნაიშვილი ამა და ამ სახლში არიანო. ,მაზრის უფროსმა შეჰყარა ყაზახები, ყარაულის კაცნი, თათრები და შუაღამისას შემოერტყა იმ სახლს, საცა ავაზაკნი საუზმეს შეექცეოდნენ. ავაზაკებს თავს ზარი დაეცათ, გაცვივდნენ გარეთ, ასტეხეს თოფის სროლა, სამი კაცი მოგვიკლეს და გაიქცნენ. სახლში დასტოვეს ერთი თავისი ამხანაგი, ვასილა დარჩია, რომელიც მძიმედ დაჭრილიყო. ჩვენებმა მოკლეს ეს ავაზაკი და დანარჩენებს გამოუდგნენ უკან. როცა ავაზაკებმა ჩასაფრებული ალაგი მონახეს, ჩასხდნენ შიგ და დაიწყეს კვლავ თოფის სროლა, ერთი კაცი კვლავ მოგვიკლეს, მაგრამ ჩვენებმაც დასჭრეს დათუნაიშვილი და მერე შეიპყრეს კიდეც დაჭრილი. დაადვეს ურემზე და ოზურგეთში ჩამოიტანეს, გზაზედ გადაელობა კიდევ ჩვენებს გადარჩენილი დარჩია და დაუწყო თოფის სროლა“.

ამავე გაზეთის ცნობით, „ამ თავდასხმის ხელმძღვანელი ყოფილა თავადი ესე გურიელი თავისი „ზემსკაია სტრაჟით“, ფირალებს მოუკლავთ მოღალატე მიხეილ ნინიძე და ერთი მდევართაგანი კაკალოღლი, ხოლო დაუჭრიათ ესე გურიელის შვილი, ლევან გურიელი, ვასილა დარჩია თავდამსხმელებმა მოკლეს, მეორე ძმა დარჩია კი უვნებელი და ცოცხალი გაექცათ, მაგრამ ვგონებ არც იმან იბოგინოს დიდხანს“. სტრაჟნიკებითა და ყაზახ-რუსებით გარემოცულ სახლში შევიდა გულ-უშიშრად სტრაჟნიკებთან შეტაკებაში აღსრულებული ღვიძლი ძმის - ვასილა დარჩიას დასატირებლად „ტყვია წაუკარებელი სისონა დარჩია“. ნაბადწამოსხმულს, ყაბალახით თავ-პირმობურვილს, წელზე სატევარ აელვარებულს „ხელში შეწკიპული ბერდენა ეჭირა და „ყურშუმის ტყვია ხაზირათ“ ჰქონდა. იქვე უეცრად ჩამოვარდნილ სამარისებრ მდუმარების დამრღვევისათვის. ყველანი გაირინდა. მოტირალებმა შეწყვიტეს ზარი და მოთქმა. „აცალეს ტირილი სისონას“, დამსწრე საზოგადოება, სამგლოვიარო პროცესიის მონაწილე, ერთიან მონოლითად ქმნილი კრინტს არ ძრავდა. სტრაჟნიკები და ყაზახ-რუსები, რომელიც ამოდენა ხალხში არა ვასილა დარჩიას სატირლად, არამედ სისონას შესაპყრობად იყვნენ მოსულნი, „მონუსხულები სარგადაყლაპულებივით გაშეშდნენ“.

ვასილას ტირილზე ასე გაბედულად დასწრებამ „უამრავი ქვეყნის მყლაპავის თვალწინ“ გარკვეულად გაზარდა და აამაღლა დღონაურის ღვთისმშობლის ეკლესიაზე 1886 წლის კალანდა დღეს „კაზიონი რევოლვერით „ყურის ძირის“ მეზობლის-გიგო ჩხარტიშვილის სასიკვდილოდ დამჭრელი სისონა დარჩიას ავტორიტეტი, მრავალი ფრთიანი ლექსი შეიქმნა და აელვარდა მის სახელზე, ერთი მათგანი კი მაინც შესამჩნევად გამოკვეთილი: „...დალოცვილი სისონაი, ნაქებია ბიჭობაში, შევიდა და ძმა იტირა, არ შეშინდა იმდენ ჯარში: ცალ ხელში თოფი ეჭირა, ცრემლი მოსდიოდა თვალში, -შენ მკვდარი ხარ, მე ცოცხალი, როგორ გავიარო გზაში ადე ბიჭო, შემომხედე, თოფი არ მკრას ვინმემ თავში, მალე შენსა მოღალატეს, გავაგზავნი მაღლა ცაში“.

ხანმოკლე გამოდგა ძმებ დარჩიებთან მოთარეშე ილარიონ დათუნაიშვილის „საფირალო წუთისოფელი“. „დიდი ვაჟკაცი იყო. მოხდენილი და ზორბა, ღონიერი.“ ღალატის წყალობით, ჩაიგდეს ხელში ილარიონა. ღალატს მიხეილა ნინიძე და სისონას რძალი აღათი ამზადებდა. სისონა და ვასილა რომ ფირალად გავარდა, მათ ნაცვლად ძმა-კოხტაიე დარჩია შეიპყრეს. (სულ ოთხი ძმები იყვნენ დარჩიები: ვასილა, სისონა, კოხტა და სოლომონი). კოხტაიეს ცოლი აღათი ოზურგეთში ციხეზე დადიოდა მეუღლის სანახავად, საგზალი მიჰქონდა და ამბებსაც გებულობდა, „შეუჩთა ოქროს ვარსკვლავით, მაგრამ მათ შორის მსახიობი მხოლოდ ერთი, ს. ჩხაიძე ბრძანდებოდა.

ომი თანდათან საფინალო ეტაპზე გადადიოდა, მაგრამ მაინც ბევრ მეომარს იწირავდა. მათ შორის არც ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობები იყვნენ მცირედ.

ესენი იყვნენ: სიმონ კუპრაძე, გერასიმე ქიქოძე, შოთა ჩავლეიშვილი და სხვები.

საბედნიეროდ, სერგო ჩხაიძე გადაურჩა მტრის რისხვას და საღსალამათი დაბრუნდა შინ.

გმირის დაბრუნება დიდ ზეიმად იქცა.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მაშინდელი ხელმძღვანელობა დღედღეზე ელოდა გმირის დაბრუნებას თეატრში, მაგრამ გმირმა რატომღაც ახლა ცხოვრების სამეურნეო სფერო აირჩია სამოღვაწეოდ და იქაც დიდი წარმატებით იღვწოდა.

მისი წინამძღოლობით ლაშეგაკირულის კოლმეურნეობამ დიდ წარმატებებს მიაღწია, თუმცა, არა მარტო სამეურნეო ხაზით. თავმჯდომარე მშრომელთა კულტურული ცხოვრების ამაღლებაზეც ენერგიულად ზრუნავდა. სოფელში შეუფერხებლად მუშაობდა სიმღერისა და ცეკვის საკოლმეურნეო ანსამბლი (ხელმძღვანელი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ანანია ერქომაიშვილი). სცენისმოყვარულთა დასი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

დიდმა ბრძოლამ და შრომამ თავისი გაიტანეს და გმირს თვალსაჩინოდ შეუმცირეს მიწიერი სიცოცხლის ხანგრძლივობა და იგი 52 წლის გარდაიცვალა 1971 წლის 1 აპრილს.

მიუხედავად სიცოცხლის ეგზომი სიმოკლისა, მედგარი ბრძოლითა და შრომით ს. ჩხაიძემ იმდენი შეძლო, რომ დავიწყების ბურუსი სამუდამოდ გაფანტა და მზის შარავანდედის გვირგვინით დამშვენებული ამაყად დამკვიდრდა სამარადჟამო სასუფეველში.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

შეეცვალა. ციმბირამდე არ ჩაუღწევია, გზაში წეიძრო ხელ-ფეხზე ბორკილები. სამშვიდობოს გავიდა. მერმინდელი მისი გზა-კვალი უცნობია“.

„ილარიონ დათუნაიშვილისა და ვასილა დარჩიას ჩამოშორების შემდეგ სისონა ხანგამოშვებით ხან დათულია სურგულაძესთან, ხან მექვაბიშვილებთან და ხანაც კახიძეებთან ერთად ფირალობდა. მრავალგზის შეტაკება მოუხდა მარტოდმარტო სტრაჟუებთან, ტყვია არც ერთხელ არ გაჰკარებია. ნუსხა ჰქონდა, ტყვიაწაუკარებელი ჩავიდა სამარეში. ძმისა და ძმადნაფიცის სიკვდილის შემდეგ სამი წელი იფირალა. გარდა სტრაჟნიკებისა ფულიან ხალხზეც ნადირობდა. 1890 წლის 30 აგვისტოს ღამით ახლად შემოკრებილი თავის ერთგული კაცებით ქ. სამტრედიაში ჩავიდა. ხელსაყრელი დრო შეარჩია. ღამის 12 საათი იქნებოდა, როცა მდიდარ სამტრედიელ მეაფთიაქეს დაეცა თავზე. 1060 მანეთი წაართვა და მშვიდობიანად დაუბრუნდა მშობლიურ სათარეშო ადგილებს. 1690 წლის „30 აგვისტო, - გვაუწყებს „ივერია“, წუხელის მეთორმეტე საათზე ყაჩაღი დარჩია თავის ბრბოთურთ, რომლებიც ათ კაცამდე იქნებოდა, თავს დაეცა სამტრედიის მეაფთიაქეს და 1060 მანეთი წაართვა“. ესე გურიელი და მაზრის უფროსი ჯაფარიძე ფეხდაფეხ დასდევენ დარჩიას. მოსვენება არც ერთ მხარეს არ აქვს. დროდადრო ინასკვება ღალატის ძაფი, რადგან სისონა სტრაჟებსაც კლავს და ვაჭრებსაც ძარცვავს. ვაჭრებისაგან პოლიციის წასაღები ფული სისონას მიაქვს. ამას ცოცხალი თავით არ დათმობს მაზრის უფროსი კაპიტანი ჯაფარიძე. 1060 მანეთი დიდი ფულია იმხანად. 1 ფუთი სიმინდი ღირს 25 კაპიკი. 1 ფუთი ღომი 70 კაპიკი, 1 კარგად ნასუქი ქათამი 20 კაპიკი, 12 გადაზელილი ყველი 80 კაპიკი. 1 ფუთი თხილი 2 მანეთი, 2 საწყაო ღვინო (ორ ფუთს უდრის) 3 მანეთი. 1 კარგად ნასუქი საკალანდო 3 მანეთი, 2 ფუთიანი ზუთხი 3 დან 7 მანეთამდე, 1 ფუთი აბრეშუმის პარკი 4 მანეთი. 2 თავი კარგი სადილი - ზურგულის საცივი 1 ბოთლი ღვინით 50 კაპიკი. 1 გირვანქა შაქარი 3 შაური.

მთელი სოფელი დარაზმეს სისონას დასაჭერად, ჯვარზე ამოხვიეს და ხატზე დააფიცეს ხალხი. 130-მდე კაცის ხელწერილი დაადებინეს-სამი თვის განმავლობაში სისონა უნდა დაიჭიროთო. სისონა რომელი ღვინია ხარი იყო, ქედზე უღელი რომ დაედგათ და რქებში ბაწარი ჩაებათ. ყველგან სისონა ელანდებოდათ. ოზურგეთის სამაზრო ციხე სისონას „მინამსგავსი კაცებით ივსებოდა და ცარიელდებოდა“

(გაგრძელება იქნება)

გულითადად გილოცავთ შობა-კალანდას! ოთხლის ლოცვით გამარჯვების, წინსვლის გზით გვევლოს, ღვთის წყალობა და მადლი არ მოგკლებოდეთ. სიყვარულით გვცხოვრობს მშვიდობიან და ერთიან საქართველოში.

დიმიტრი კვერღელიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

შობა-ახალ წელს და ჩიჩილაკებით ჩვენსკენ მომავალ კალანდას გილოცავთ, ძვირთასო ოზურგეთელებო!

სულიერი სიმტკიცის, თვიზიერი სიჯანსაღის, სიხარულის, სითხვის, მარაქის, მატების, მედნიერების, ძვალნის გამთლიანების წელი ყოთილიყოს 2015.

ინგა დუმბაძე
ქალაქ ოზურგეთის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორი.

ყველა ოზურგეთელს, ნაცანემელს ვულოცავ შობის მრწყინვალე დღესასწაულს, კალანდას, ვესურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, მედნიერებას, ხვავსა და მარაქას.

დავით სიხარულიძე,
ქართული სუმტრობიული ხილის კომპანიის დირექტორი, საკრებულოს დეპუტატი

ძვირთასო ოზურგეთელებო, შობა-კალანდას გილოცავთ, მრავალს დაესწარით. გისურვებთ ჯანსაღ, ხანგრძივ სიცოცხლეს და წარმატებებს ცხოვრებაში.

გია მამაკაიშვილი,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსი, გურიის ნარდის ფედერაციის თავმჯდომარე

ძვირფასო ოზურგეთელებო, გილოცავთ შობა-ახალ წელს!. სიყვარულის, სიკეთის, ხვავის, მარაქის და ყველა ლამაზი ოცნების ახდენის წელი ყოფილიყოს 2015.! უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ! ღმერთს ებარებოდეთ თქვენ და სრულიად საქართველო

ქ. ოზურგეთის განათლების, კულტურის და გენდერული თანასწორობის სამსახური

გილოცავთ შობა-კალანდის დღესასწაულებს!

იყავით ხალისიანი, მედნიერი, წარმატებული. დაგმედებოდეთ ყოველივე საუკეთესო.

ნატო ხომერიკი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის და გენდერული თანასწორობის სამსახურის უფროსი

ფონდ „სოხუმთან“ არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული საკონსულტაციო სამჭო გილოცავთ შობა-კალანდას. გისურვებთ წარმატებებს.

ლელა ნაცვალაძე
სამჭოს ხელმძღვანელი
საკრებულოს დეპუტატი

მრავალ შობა-კალანდას, ძვირფასო კონჭკათელებო, ოზურგეთელებო!

ისარეთ, იმრავლეთ და იმედნიერეთ

გელა არუშიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიფრცით ცენტრებრიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე

ჩემო ნაცანემელებო, ოზურგეთელებო. შობა-კალანდას გილოცავთ. მრავალს დაესწარით, ჯანმრთელები და მედნიერები.

ზაზა გობრონიძე,
ფრაქცია „ძლიერი სოფელის“ თავმჯდომარე

მილოცვა



ჩვენს ძვირფას კოლეგასა და მეგობარს **დავით კუტუბიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს, ვესურვებთ ჯანის სიმრთელეს, სიხარულს, მედნიერებას, წარმატებებს!

ალიონელები

ფონდ „სოხუმის,“ ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბი გილოცავთ შობა-ახალ წელს, მშვიდობის, ხვავის, მარაქის და სიყვარულის წელი ყოფილიყოს 2015 წელი. ვულოცავთ ოზურგეთელებს და სრულიად საქართველოს,

ფონდ „სოხუმის“ ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბი

ფრაქცია „ჩვენი ოზურგეთის“ წევრები გილოცავთ შობა-კალანდას, გისურვებთ სიკეთეს, ჯანმრთელობას, მედნიერებას, ულევ სიხარულს, წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

(რ)

7 დღის ამინდის პროგნოზი

ღრუბელი +6+12	წვიმა +3+7	მზე +6+14	მზე +6+13	ღრუბელი +6+11	წვიმა +6+11	მზე +6+13
12 იანვარი ორშაბათი	13 იანვარი სამშაბათი	14 იანვარი ოთხშაბათი	15 იანვარი ხუთშაბათი	16 იანვარი პარასკევი	17 იანვარი შაბათი	18 იანვარი კვირა